

**CASE OF VAVŘIČKA AND OTHERS v. THE CZECH REPUBLIC**  
**ვაგრიჩკა და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ**

**ფაქტობრივი გარემოებები**

1. ჩეხეთის რესპუბლიკაში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, ყველა მუდმივი მაცხოვრებელი, უცხოელი, რომელთაც ჩეხეთის ტერიტორიაზე გრძელვადიანი ცხოვრების უფლება აქვთ **მინიჭებული, ვალდებული არიან ჩაიტარონ სავალდებულო აცრები**. თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში, ამაზე პასუხისმგებელი არიან მათი კანონიერი წარმომადგენლები.
2. კონკრეტული მოვალეობები და ფუნდამენტური უფლებებებისა და თავისუფლებების საზღვრები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ და მხოლოდ კანონის ფარგლებში. აღნიშნული ჩვეულებრივ გაგებულია, როგორც პარლამენტის აქტი.
3. PHP არის პარლამენტის აქტი. ის ითვალისწინებს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კანონის მიღებას ვაქცინაციასთან დაკავშირებითაც.
4. სამინისტრომ მიიღო ზემოთ ხსენებული დადგენილებები ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ. (Vyhláška o očkování proti infekčním nemocem) (Decree no. 439/2000 Coll., as amended – “the 2000 Ministerial Decree”, in force from 1 January 2001 to 31 December 2006, and Decree no. 537/2006 Coll., as amended, – “the 2006 Ministerial Decree”, in force as from 1 January 2007, jointly referred to hereafter as “the Ministerial Decree”). „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ ჩეხეთის რესპუბლიკის კანონის თანახმად, (PHP-ის 50-ე მუხლი) მიუთითებს, რომ სკოლამდელ დაწესებულებებს შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ ისეთი ბავშვები, რომლებსაც ჩატარებული აქვთ სავალდებულო აცრები ან შესაბამისი წყაროთი დასტურდება, რომ იმუნიტეტი სხვა გზით გამოიმუშავა, ამასთან, გათვალისწინებულია ისეთი ბავშვებიც, რომლებიც ჯანმრთელობის პრობლემების გამო შეზღუდული არიან ვაქცინაციით.
5. ვაქცინაციის საფასური დაფარულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. ეს ვაქცინები მოიცავს სპეციფიკური ვაქცინების ვარიანტების სიას, რომელიც განკუთვნილია რეგულარული იმუნიზაციისთვის. აღნიშნული ინფორმაცია ყოველწლიურად ქვეყნდება სამინისტროს მიერ და არის უფასო. მათ ნაცვლად შესაძლებელია სხვა ვაქცინების გამოყენებაც, რომელიც შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერაა დამტკიცებული, თუმცა ზემოთხსენებულის საფასური სახელმწიფოს მიერ არ არის დაფარული.
6. წვრილმან სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, პირი, რომელიც არღვევს აკრძალვას ან არ ასრულებს მოვალეობას რომელიც გათვალისწინებულია ან დაწესებულია ინფექციური დაავადებების პრევენციის მიზნით, ანუ ვაქცინაციისთვის ჯარიმდება 10,000 ჩეხური კრონით (CZK), დღეის მდგომარეობით მისი ექვივალენტი დაახლოებით 400 ევროს შეადგენს.
7. სავალდებულო ვაქცინაციის პროცესში არაკომპეტენტური, დაუდევარი ქმედების შემთხვევაში, თუ ზიანი მიადგება ვაქცინირებული ადამიანის ჯანმრთელობას, პასუხისმგებელი პირი სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად აგებს პასუხს და მოუწევს კომპენსაციის გადახდა მიყენებული ზიანის გამო.
8. რაც შეეხება სავალდებულო ვაქცინაციის დროს, რომელიც შესაბამისი წესებისა და პროცედურების დაცვით ხორციელდება, ადამიანის ჯანმრთელობაზე მიყენებულ ზიანს 2013 წლის 31 დეკემბრამდე პასუხისმგებლობა კომპენსაციის სახით ეკისრებოდა იმ პირს

ვინც ჩაატარა ვაქცინაციის პროცედურა, თუმცა სამოქალაქო კანონმდებლობის კოდიფიცირებისას ეს ნორმა გაუქმდა 2014 წლის 1 იანვრიდან. ახალი სპეციალური კანონმდებლობის თანახმად, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 8 აპრილს, სწორედ სახელმწიფო შეიძლება იქნეს პასუხისმგებელი ამგვარი ზიანისთვის.

9. ამგვარ ვითარებაში გარდა კომპენსაციისა, პიროვნებას ეკუთვნის სამედიცინო მკურნალობით უზრუნველყოფა, რომელიც იფარება სახელმწიფოს მიერ.

## II. APPLICATION OF MR VAVŘIČKA, NO. 47621/13

10. ბატონი ვავრიჩკა დაიბადა 1965 წელს კუტნა-ჰორაში. 2003 წლის 18 დეკემბერს დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრმა ის დამნაშავედ სცნო, რადგან მან თავისი თოთხმეტი და ცამეტი წლის შვილი პოლიომიელიტის, ბ ჰეპატიტის და ტეტანუსის სავალდებულო ვაქცინის გასაკეთებლად შესაბამის დაწესებულებაში არ წარადგინა. იმჟამინდელი მონაცემებით ჯარიმის ოდენობამ 110 ევრო შეადგინა. ის ამტკიცებდა, რომ ეს რეგულაციები ეწინააღმდეგებოდა მის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, კერძოდ, მიუთითებდა სამედიცინო ჩარევაზე უარის თქმის უფლებაზე (ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლის მითითებით, ხსენებული ჩეხეთის რესპუბლიკის სამართლებრივი წესრიგის ნაწილია და საკანონმდებლო კონფლიქტის შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება-ოვიედოს კონვენცია.) ასევე, რელიგიური და ფილოსოფიური რწმენის ქონასა და მისი გამოხატვის უფლებაზე. ის ეწინააღმდეგებოდა, როგორც მან აღწერა ადამიანების ჯანმრთელობის მიმართ არსებულ უპასუხისმგებლო ექსპერიმენტს. ის ხაზგასმით მიუთითებდა არსებულ და პოტენციურ ვაქცინების გვერდით ეფექტებზე და ამტკიცებდა, რომ მისი ქცევით არავითარი საფრთხე არ ადგებოდა საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, იმის გათვალისწინებით, რომ პოლიომიელიტის ბოლო შემთხვევა 1960 წლით თარიღდებოდა, B ჰეპატიტი ეხებოდა მხოლოდ მაღალი რისკის ჯგუფებს, ხოლო ტეტანუსი არ იყო გადამდები ადამიანებს შორის. ბატონმა ვავრიჩკამ აღნიშნული გადაწყვეტილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. ხანგრძლივი სასამართლო განხილვების შემდგომ, 2013 წლის 24 იანვარს, გადაწყვეტილება მოსარჩელის დაჯარიმების შესახებ კანონიერად იქნა ცნობილი.

11. 2006 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში ჩეხეთის რესპუბლიკის ხუთ არასრულწლოვან მოქალაქეს ეთქვა უარი სკოლამდელ დაწესებულებაში მიღებაზე, იმ მიზეზით, რომ მათ სავალდებულო ვაქცინაცია არ ჰქონდათ ჩატარებული - ნოვოტნა, რომელიც დაიბადა 2002 წლის 12 ოქტომბერს. 2006 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით, როდესაც ის იყო სამ-ნახევარი წლის, მას ჰქონდა უფლება მოხვედრილიყო მონტესორის საბავშვო ბაღში. 2008 წლის 10 აპრილს ამ დაწესებულების დირექტორმა გადაწყვიტა, რომ განეახლებინა მიღების პროცედურები, 2006 წლის 15 მარტის სამედიცინო ცნობის მიხედვით, მას ჩატარებული ჰქონდა სავალდებულო აცრები, თუმცა მას რეალურად არ ჰქონდა გაკეთებული MMR (წითელა, ყბაყურა, წითურა) ვაქცინა. მეორე შემთხვევა უკავშირდება Mr. HORNYCH-ს, რომელიც 2008 წლის 26 სექტემბერს დაიბადა. მას მცირე ასაკიდან აწუხებდა სხვადასხვა სახის დაავადება და არ ჩაუტარებია არანაირი ვაქცინაცია. ის ამტკიცებდა, რომ მისი მშობლები არასდროს ყოფილან ვაქცინაციის წინააღმდეგნი და რომ ვაქცინაციის ჩაუტარებლობის მიზეზი იყო პედიატრისგან ინდივიდუალური რეკომენდაციის ნაკლებობა ვაქცინაციასთან დაკავშირებით. საბავშვო ბაღში მიღებისას, განაცხადის შევსების დროს პედიატრმა შესაბამისი ფორმით აღნიშნა,

რომ ბავშვი არ იყო ვაქცინირებული. აღნიშნული მოიცავდა ხელნაწერსაც, სადაც ეწერა, რომ მას არცერთი კანონით გათვალისწინებული ვაქცინა არ აკლდა, ეს ხელნაწერი ეკუთვნოდა არა პედიატრს, არამედ სრულიად სხვა ვინმეს. საბოლოოდ, 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით, PHP-ს 50-ე მუხლის თანახმად, მას უარი ეთქვა საბავშვო ბაღში მიღებაზე იმ მიზეზით, რომ ის არ იყო სრულად ვაქცინირებული. შემდეგი ქეისიც მსგავს გარემოებას უკავშირდება (MR BROŽÍK AND MR DUBSKÝ), ისინი 2011 წლის 11 და 16 მაისს დაიბადნენ. მათი მშობლები ვაქცინაციის წინააღმდეგნი იყვნენ. საბავშვო ბაღში მიღების პროცედურებისას, მათ წარადგინეს შესაბამისი მოწმობა, რომ ისინი არ იცრებოდნენ სწორედ მშობლების რწმენისა და შეხედულებების გამო. 2014 წლის 2 მაისს მათ უარი ეთქვათ სკოლამდელ დაწესებულებაში მიღებაზე, მითითებით, რომ სავალდებულო ვაქცინაცია იყო მისაღები შეზღუდვა იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმე ეხებოდა ადამიანის რელიგიურ შეხედულებებსა და რწმენას, რადგან ამ შემთხვევაში პრიორიტეტი საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მიენიჭა.

12. მომდევნო შემთხვევა უკავშირდება ( MR ROLEČEK ) 2008 წლის 9 აპრილს დაბადებულ ადამიანს, რომლის მშობლებიც იყვნენ ბიოლოგები. მათ გადაწყვიტეს, რომ თავიანთი შვილისთვის შეედგინათ ინდივიდუალური ვაქცინაციის გეგმა. ამის შედეგად, იგი ვაქცინირებული იყო იმაზე გვიან ვიდრე ეს დადგენილი წესით იყო გათვალისწინებული, ამასთან ის არ იყო ვაქცინირებული ტუბერკულოზის პოლიომიელიტის, B ჰეპატიტის, MMR ( წითელა, ყბაყურა, წითურა ) საწინააღმდეგოდ. ამის შესაბამისად, 2010 წლის 22 და 30 აპრილს ორი საბავშვო ბაღიდან მას უარი ეთქვა მიღებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებები მათი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების) მიერ სასამართლოში, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოშიც გასაჩივრდა. სასამართლო განხილვების შედეგად, აღნიშნული გადაწყვეტილებები კანონიერად იქნა ცნობილი (პარაგრაფები 32-ე-64-ე).

## **დავის არსი**

13. მოსარჩელე ვავრიჩკას ჯარიმის რაოდენობასთან მიმართებით, მთავრობის პოზიციის თანახმად, მისი რაოდენობა საკმაოდ უმნიშვნელო იყო და შესაბამისად მხარე არ განიცდიდა რაიმე მნიშვნელოვან ზიანს. მოსარჩელე ვავრიჩკა კი თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ იგი ამ პერიოდში იყო უმუშევარი, არ ჰქონდა არანაირი შემოსავალი და გადიოდა განქორწინების პროცესს, ჯარიმა კი ნორმატიული წესით დადგენილ ყოველთვიური ხელფასის ნახევარს აღემატებოდა. მას აწუხებდა გაურკვეველობა და აინტერესებდა თუ სხვა რა ზომებს მიიღებდნენ მისი შვილების ვაქცინაციის გრაფიკის დარღვევის საპასუხოდ. ბ-ნ ვავრიჩკას პოზიციის თანახმად, მისთვის ჯარიმის დაკისრება იმის გამო რომ, მან თავისი შვილებისთვის ვაქცინაცია არ უზრუნველყო - თვითნებური იყო. ზემოთ ხსენებული ხუთი არასრულწლოვანი მოსარჩელის კანონიერი წარმომადგენლების აზრითაც თვითნებური იყო მათი შვილების სკოლამდელ დაწესებულებაში მიუღებლობა იმ მიზეზით, რომ მათ სავალდებულო აცრები არ ჰქონდათ გაკეთებული.

14. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ამ საკითხებს განიხილავდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, რომელიც პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში უდავო იყო, რომ მოსარჩელეების მიმართ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას, იყო თუ არა ეს ჩარევა

გამართლებული, მნიშვნელოვანია რამდენიმე გარემოების გათვალისწინება - ხსენებულ უფლებებში ჩარევა იყო თუ არა კანონით გათვალისწინებული, რამდენად შეესაბამებოდა და გამიზნული იყო ეს ჩარევა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და იყო თუ არა ეს ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

15. მოსარჩელების ხაზგასმით მიუთითებდნენ იმაზე, რომ სავალდებულო ვაქცინაციასთან, დაკავშირებული საკითხები ეროვნულ დონეზე, კანონებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით იყო დარეგულირებული. მათი მითითებით ამ შემთხვევის ამ სახით მოწესრიგება ეწინააღმდეგებოდა ჩეხეთის კონსტიტუციურ კანონს. აქედან გამომდინარე, სავალდებულო, „რუტინულ“ ვაქცინაციასთან, მის წესებთან და პირობებთან დაკავშირებული საკითხების კანონთან ერთად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დარეგულირება, ეწინააღმდეგებოდა ჩეხეთის ეროვნულ კონსტიტუციას.

16. მოსარჩელების პოზიციის მიხედვით, ამ თემის ამგვარ მოწესრიგებას ეროვნულ დონეზე არ ჰქონდა კანონიერი საფუძველი, შესაბამისად, კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევა არ იყო „კანონით გათვალისწინებული“. თავის მხრივ, ამასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თქვა, რომ კონვენციაში გამოყენებული ტერმინები გაგებულ უნდა იქნეს მატერიალური და არა წმინდა ფორმალური მნიშვნელობით. ეს იმას გულისხმობს, რომ მხედველობაში მიიღება, როგორც კანონები, აგრეთვე კანონქვემდებარე აქტები. საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულ დონეზე მოსარჩელების მიმართ კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევა იყო კანონით გათვალისწინებული.

17. ლეგიტიმურ მიზანზე როდესაც ვსაუბრობთ, ამასთან, დაკავშირებით მოპასუხე მხარემ განაცხადა, რომ ლეგიტიმურ მიზანს სწორედ ჯანმრთელობისთვის საშიში დაავადებებისგან დაცვა წარმოადგენს. ბუნებრივია, ხელისუფლების ინტერესი სწორედ საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ეკონომიკური კეთილდღეობა და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

18. უფლებებში ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩაითვლება საჭიროდ თუ იგი პასუხობს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას. კონვენცია რეალურად არის დამხმარე ბუნების, ეროვნული ხელისუფლება ფლობს პირდაპირ ლეგიტიმაციას, იმის გათვალისწინებით, რომ მათ ამ ქრილში პირდაპირი შეხება აქვს არსებულ პრობლემებთან და შესაბამისად მათ აქვთ შესაძლებლობა არსებული პრობლემები და გამოწვევები უფრო კარგად შეაფასონ. ზოგადად, როდესაც ადამიანის უფლების შეზღუდვას ეხება საქმე, შეზღუდვის მასშტაბი საკმაოდ ვიწრო და დელიკატურად განსახილველია, მაშინ როდესაც აღნიშნული ადამიანის ინტიმურ სფეროს ეხება.

19. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ღიად აღნიშნა, რომ ჯანდაცვის პოლიტიკა არის ის საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც ეროვნული ხელისუფლების ორგანოები მასთან შედარებით პრიორიტეტულ მდგომარეობაში არიან, რადგან მათ შეუძლიათ პირდაპირ შეაფასონ პრიორიტეტები და სოციალური საჭიროებები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმარტება, რომელიც გააკეთა სასამართლომ არის ის, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს უფლებებში ჩარევის დიდი საშუალება აქვთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამართლიანი ბალანსი დარღვეულია დაპირისპირებულ კერძო და საჯარო ან კონვენციურ უფლებებს შორის.

20. გამომდინარე იქიდან, რომ საქმე ეხება სავალდებულო სამედიცინო ჩარევას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა მათი მნიშვნელობა და ინტიმურობა, თუმცაღა ამ უფლებაში ჩარევას ამსუბუქებს ის, რომ ვაქცინაცია ძალის გამოყენებით არ მომხდარა, მითუმეტეს, რომ სწორედ ეროვნული კანონმდებლობისთვისაა მიუღებელი ამ შემთხვევაში ძალის გამოყენება.

21. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ ვაქცინაცია ყველაზე წარმატებულ სამედიცინო ხასიათის ინტერვენციას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია პოზიტიური ქცევით განახორციელოს მაქსიმალურად დიდი რაოდენობის მოქალაქეთა სავალდებულო ვაქცინაცია. ამასთან, რეალურად არ არსებობს რაიმე მოდელზე კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნეს ნაპოვნი სამართლიანი ბალანსი ვაქცინაციის დროს დაპირისპირებული ინტერესების მქონე ადამიანებს შორის. რაც შეეხება ბავშვების ვაქცინაციას, ამ შემთხვევაში რამდენიმე მიდგომას ვხვდებით: პირველი ის, რომ ბავშვის ვაქცინაციას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, რაც შეეხება მეორე მიდგომას, ბავშვის ვაქცინაციას სარეკომენდაციო ხასიათი მხოლოდ კონკრეტული სახეობის ვაქცინებთან მიმართებით აქვთ, ხოლო ცალკეულ სახეობებთან მიმართებით სავალდებულოა; მესამე მიდგომის მიხედვით კი, ბავშვთა ვაქცინაცია ყველა სახეობის ვაქცინებთან მიმართებით სავალდებულოა. ფაქტი სახეობა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკამ ამ მიდგომებიდან ყველაზე მკაცრი მიდგომა აირჩია. სასამართლომ აგრეთვე ხაზგასმით მიუთითა კონვენციის მე-2 და მე-8 მუხლებზე, რომლის მიხედვითაც ვალდებულნი არიან თავიანთი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაიცვან. საქმის განხილვის დროს წარმოდგენილი მასალებისა და ექსპერტთა პოზიციის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში ბავშვების სავალდებულო ვაქცინაცია მწვავე სოციალურ საჭიროებას წარმოადგენდა, მიმართული იყო ცალკეული ადამიანებისა და ზოგადად საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისაკენ, ასევე, იმისკენ რომ ბავშვებში ვაქცინაციის რაოდენობრივი მაჩვენებელი არ შემცირებულიყო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასამართლომ ბავშვების ვაქცინაცია მგრძობიარე, ინტიმურ საკითხებთან არ არის დაკავშირებული, თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ სასამართლომ ამ შემთხვევაშიც ახსენა ბავშვის უპირატესი ინტერესი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად განისაზღვრება. ინტერესებში, რასაკვირველია, იგულისხმება ისიც, რომ მათი ჯანმრთელობა მაქსიმალურად მაღალი ხარისხით იყოს დაცული, რისთვისაც ყველაზე კარგ გამოსავლად ვაქცინაცია მიიჩნევა. მშობლების აზრით კი ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ყველაზე დიდი წვლილი სწორედ მათ მიუძღვით, ხოლო სახელმწიფო უნდა ჩაერიოს უკიდურეს შემთხვევაში. ვაქცინაციის მიზანი, თავის მხრივ, მძიმე დაავადებებისგან დაცვაა, ხოლო ვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია ვაქცინაცია, კოლექტიური იმუნიტეტით არიან დაცულნი, რასაკვირველია იმის დამსახურებით, რომ სხვა ადამიანები არიან აცრილები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება კოლექტიური იმუნიტეტის შექმნა და შენარჩუნება, მაშინ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ სავალდებულო ვაქცინაციის პოლიტიკა გაატარონ მძიმე დაავადებებისგან მოსახლეობის დასაცავად.

22. ჩეხეთში სავალდებულო ვაქცინაცია ეხება 9 ისეთ დაავადებას, რომლისგან თავის დასაცავად ვაქცინის გაკეთება კომპეტენტური სამეცნიერო საზოგადოების მიერ ყველაზე ეფექტიანად და უსაფრთხოდ არის აღიარებული. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში ვაქცინაცია

სავალდებულო ხასიათისაა, თუმცა იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ მოვალეობას. ბუნებრივია ისიც, რომ სავალდებულო ვაქცინაციას არ ექვემდებარება ბავშვი, რომელსაც ვაქცინის მიმართ პერმანენტული უკუჩვენებები აქვს.

23. მოსარჩელები ეჭვით უყურებდნენ ვაქცინების უსაფრთხოებას და ეფექტიანობას. ისინი უთითებდნენ ისეთ უკუჩვენებებზე, რომელთაც ვაქცინის გაკეთებას შეეძლო გამოეწვია. მოსარჩელეთა აღნიშნულ პრეტენზიებზე მსჯელობის დროს, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოთა შორის მიღწეულ იმ კონსენსუსზე, რომლის თანახმად, ვაქცინაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დაცვისთვის იმ დაავადებებისგან, რომელთა გავრცელებას შესაძლოა უკიდურესად მძიმე და დამლუპველი შედეგი ჰქონდეს ინდივიდის ჯანმრთელობაზე, ხოლო კონკრეტული დაავადებების მასობრივად გავრცელების შემთხვევაში, მთლიანად საზოგადოებაზე.

24. საქმის განხილვისას, მოპასუხე მხარის ინფორმაციიდან ცნობილი გახდა, ჩეხეთის რესპუბლიკაში ვაქცინირებული 100 000 ბავშვიდან ჯანმრთელობის პრობლემა მხოლოდ 5-6 ბავშვს შეექმნა. არასახარბიელო შედეგის თავიდან ასაცილებლად სასამართლომ უსაფრთხოების ზომების აუცილებლობასაც გაუსვა ხაზი, უსაფრთხოებაში ბუნებრივია ინდივიდუალური გამოკვლევები იგულისხმება.

25. საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველ მოსარჩელესთან დაკავშირებით თქვა, რომ მისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა არ იყო გადაჭარბებული, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ მოსარჩელებს, სასამართლომ აღნიშნა, რომ სავალდებულო ვაქცინაციის ჩაუტარებლობის გამო ბავშვების სკოლამდელი დაწესებულების მიერ მიუღებლობამ და გარიცხვამ მათი პიროვნულ განვითარებაზე, სოციალიზაციაზე, უნარ-ჩვევების გაღრმავებაზე საკმაოდ დიდი, უარყოფითი გავლენა მოახდინა, თუმცა ეს არა სახელმწიფოს, არამედ მშობლების არჩევანი იყო. კერძოდ მათი ნეგატიური ქმედებით, ანუ სავალდებულო ვაქცინაციის გვერდის ავლით ზიანი სწორედ მათ შვილებს მიადგათ, მითუმეტეს, რომ აცრათა დიდი ნაწილის გაკეთებისთვის ოპტიმალური დრო სწორედ ადრეული ასაკია. მნიშვნელოვანია აგრეთვე აღინიშნოს ის თუ რა მდგომარეობაში არიან ისეთი ბავშვები, რომლებსაც თავიანთი ჯანმრთელობა არ უწყობს ვაქცინაციაში ხელს. ამ შემთხვევაში მათი სკოლამდელ დაწესებულებაში ყოფნა დამოკიდებულია სხვა ბავშვების ვაქცინაციაზე, რათა რეალურად უსაფრთხოდ იყოს კონკრეტულ გარემოში და გარკვეული იმუნიტეტი არსებობდეს, გამოდის რომ ჯანმრთელობის მქონე ბავშვების შემთხვევაში, რომელთან არ შეუძლიათ ვაქცინაცია, პასუხისმგებლობა სწორედ საზოგადოებას ეკისრება.

26. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმარტება, რომელიც გააკეთა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არის ის, რომ სავალდებულო ვაქცინაციაზე უარის თქმით ბავშვებს სრულად არ წართმევიანთ ინტელექტუალური, სოციალური, პიროვნული განვითარების შესაძლებლობა. სკოლამდელ დაწესებულებაში დაუშვებლობა არ ყოფილა საბოლოო განაჩენი, რადგან ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, როგორც კი სავალდებულო განათლების ასაკს მიაღწევდა თითოეული, მათ შესაძლებლობა ექნებოდათ სწავლა დაეწყოთ დაწყებით სკოლაში, ამ შემთხვევაში მათ სტატუსს ვაქცინაციასთან მიმართებით არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. მოსარჩელები ასევე მიიჩნევდნენ, რომ ეს სისტემა საკმაოდ არათანმიმდევრული და გაუმართავი იყო გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ვაქცინაცია სავალდებულოა, ხოლო ამ დაწესებულების თანამშრომლებზე არ მოქმედებს იგივე წესი. სასამართლომ კი ამასთან დაკავშირებით ახსენა ისევე, რომ სავალდებულო ვაქცინაციის

მოთხოვნა იყო ყველა მოქალაქესა და უცხოელზეც, რომელსაც მუდმივი ცხოვრების უფლება ჰქონდა ჩეხეთის რესპუბლიკაში, შესაბამისად, მათ შორის იყვნენ თანამშრომლები და იგულისხმებოდა, რომ მათ ყველა სავალდებულო ვაქცინა ჩტარებული ჰქონდათ.

27. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მათ მიერ სავალდებულო ვაქცინაციასთან მიმართებით გამოყენებული ყველა კანონით დადგენილი ღონისძიება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება იყო.

#### **დასკვნა**

28. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი მთავარი მსჯელობის საგანი იყო ის, მოქმედებდა თუ არა ჩეხეთის ხელისუფლება მისთვის მინიჭებული უფლების ფარგლებში სამართლიანი ბალანსის დადგენისას, ამ შემთხვევასთან მიმართებით. საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკა არ გასცდენია მისი უფლებამოსილების ფარგლებს და რომ მისი ღონისძიებები, სწორედაც რომ მწვავე სოციალური საჭიროებიდან გამომდინარეობდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დადგინდა რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი არ დარღვეულა.

**მოამზადა**

**მარიამ ბარქუა**

**გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრანტი**